საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1963 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 28 (6617) 14 ივლისი ხუთშაბათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაიონულ საკრებულოში

### ღირსეულად აღსანიშნავად

**რაიონული საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.**

გამგეობაზე აღინიშნა, რომ 1995 წლის 9 მაისს სრულდება ფაშისტურ გერმანიაზე ისტორიული გამარჯვების 50 წლისთავი. ამ მნიშვნელოვანი თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის საჭიროა აქედანვე გატარდეს საჭირო ღონისძიებანი.

გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა გამარჯვების დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების, აგრეთვე ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის მიზნით რაიონული კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

დამტკიცდა დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების გეგმა.

რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობას დაევალა განახორციელონ ღონისძიებანი ომის ვეტერანთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, იმ უპირატესობებისა და შეღავათების სრული გამოყენებისათვის, რომლებიც ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით დაწესებულია ომის ვეტერანებისათვის.

ეთხოვა რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ხელმოკლე ომის ვეტერანთა მატერიალური უზრუნველყოფის ფონდში ცაგერის აგრომრეწვბანკში ანგარიშის № 70011-ზე ჩარიცხონ ყოველთვიურად ხელფასის 0,5 პროცენტი.

ქ. ცაგერისა და სოფლის საკრებულოების გამგეობათა თავმჯდომარეებს დაევალა შეიმუშაონ და განახორციელონ ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისათვის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა. ამასთან გააძლიერონ ყურადღება ომის ვეტერანების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მათ ტერიტორიაზე არსებული შინმოუსვლელთა მემორიალური სტენდებისა და ძეგლების წესრიგში მოყვანისათვის.

რაიკოოპერატივის გამგეობას (თავმჯდომარე ო. მდივანი) დაევალა გადაწყვიტოს ომის ვეტერანთა მაღაზიის ხელმისაწვდომ ფასებში სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგება.

რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმს მ. თოთაძეს და ცენტრალური აფთიაქის გამგეს ნ. ცხვედიანს დაევალა მიიღონ ზომები ომის ვეტერანთა უფასო სამკურნალო საშუალებებით მომარაგებისათვის.

სოციალური დახმარების განყოფილების გამგეს პ. ბაკურაძეს დაევალა მიიღოს ზომები მარტოხელა შრომის უნარმოკლებული ომის ვეტერანთა ბინაზე მუდმივი მომსახურების გასაუმჯობესებლად.

## აქტივის თათბირი

12 ივლისს რაიონულ საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა წარმოება-დაწესებულებათა, მოსამსახურეობის საწარმოთა ხელმძღვანელების, სასოფლო და საქალაქო საკრებულოთა გამგებლების, სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების და სხვა აქტივის თათბირი დღის წესრიგით: რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობისა და ამოცანების შესახებ. მომხსენებით გამოვიდა რაიონული საკრებულოს განყოფილების გამგე ზაურ ბრუჯაძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საგზაო სამმართველოს უფროსმა ოლეგ აბრამიშვილმა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა ბადრი არეშიძემ, №23 საგზაო სამმართველოს უფროსმა რეზო ლეჟავამ, კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა იური ჭაბუკიანმა, განათლების განყოფილების გამგემ ზურამ ხიზანიშვილმა, მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კარლო კვირკაშვილმა, სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორმა ტარიელ გუგავამ, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ შურაბ კაპრიელიანმა, სასურსათო კომბინატის დირექტორის მოადგილემ ომარ ხომასურიძემ, საფინანსო განყოფილების გამგემ ნაირა ბერაძემ, რაიონის პროკურორმა ავთანდილ მალრაძემ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ კარლო მუჯირიშვილმა.

დაწვრილებით ინფორმაციას ამ თათბირის შესახებ გაზეთის უახლოეს ნომერში მოგაწვდით.

## ამოქმედდა სასურსათო კომბინატი

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ამუშავდა სასურსათო კომბინატი. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა უკარნახა კომბინატის ხელმძღვანელობას მოსახლეობასთან ნაღდი ანგარიშსწორებით შეესყიდა ალუბალი და დღეს უკვე 1000 კილო ალუბლის მურაბაა დამზადებული. კომბინატში მალე დაიწყება შავი ქლიავის ტყემლისა და თესლოვანი ხილის მიღება კომპოტის, ჩირისა და სხვათა დასამზადებლად. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია და გასაგებია ის სიძნელეები რაც განიცადის საწარმო, მაგრამ იმედია მისი ხელმძღვანელობა გონივრულად გამოიყენებს საბაზრო ეკონომიკის კანონებს და ხელ-ხელა ჩადგება მისთვის ჩვეულ რიტმში. საწარმოს პროფილი და მისთვის საჭირო სანედლეულო ბაზის არსებობა რაიონში იმის გარანტიაა უნდა გახდეს, რომ კომბინატი ღირსეულად აეწყობს ფეხს საბაზრო ეკონომიკას და ლეჩხუმში ერთ-ერთი მოწინავე და კონკურენტუნარიანი საწარმო გახდება.

## ეკონომიკა

### მეაბრეშუმეები კმაყოფილი არიან

ლეჩხუმში მეაბრეშუმეობა ტრადიციული დარგია. ჩვენს მეაბრეშუმეებს კარგად ესმით, რომ ქართული აბრეშუმის დიდება და სახელი დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკას, მშრომელთა კეთილდღეობას.

ძარშან მეაბრეშუმეებს წახალისების მიზნით შაქარი მისცეს, წელსაც არის მსგავსი ღონისძიებანი განსაზღვრული. ასეც არ იყოს, ბევრს უყვარს აბრეშუმის ჭიის მოვლა, სხვანაირად არ შეუძლია, მით უფრო, როცა საკვები არის, საჭირო პირობებიც და ვისაც გულით უნდა საქმის კეთდება, თავად გაიყვანა ჭია მოსავლელად.

ამინდები ნორმალური გამოდგა ჭიის გამოკვების სეზონისათვის. ამას მეაბრეშუმეთა გარჯა დაემატა და ახლა უკვე დამამზადებელ პუნქტებს ბარდება აბრეშუმის პარკი. დღეისათვის სულ ცაგერისა და ალპანის პარკსაშრობებში პირველი ტონებია მიტანილი. სულ 9 ტონა უნდა დაამზადონ.

ბევრი მეაბრეშუმეა კმაყოფილი გაწეული შრომით. ლეილა დავითულიანმა, ციალა კოპალიანმა, ლამარა მუშკუდიანმა, სონა შკუბულიანმა და მრავალმა სხვამ აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მოიწიეს.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

## ლეჩხუმელობა არ დაივიწყეთ...

დღეს უკვე თითქმის არავინ წუწუნებს კომფორტზე. სასიამოვნო მოგონებად დარჩა აგრეთვე უამრავი პროდუქტებით დახუნძლული დახლების გახსენება. ადამიანებმა შეძლებით დაგვეძლია ნატვრა და სურვილი ნორმალური, ადამიანური ცხოვრებისა და შორეულ თუ ახლო მომავალს მივანდეთ ყველა ჩვენი ნატვრის ასრულება, მაგრამ პური, წყარო ჩვენი არსობისა, მაინც ვერ დავივიწყეთ და უპირველეს ნატვრად დაგვრჩა.

დღეს, საყოველთაო შიმშილისა და სასწაულებრივი ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა, რადგან ჩვენი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის მართლაც ერთადერთი საშუალებაა არსებობისათვის. ალბათ ადვილი წარმოსადგენია, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის რა ძნელი იქნება, ნორმირებული პურის შეძენაც რომ გაჭირდება. არა და ამის უამრავი შემთხვევა იყო. საბედნიეროდ, იყო და აღარ არის. ხალხმა ამ მხრივ მაინც ამოისუნთქა — ნორმის პური, როცა მიხვალ, დაგხვდება მაღაზიაში. ადამიანებმა ისე დავკარგეთ იმედი და ნდობა ყველაფრისა, რომ გვეგონა საშველი აღარ გაგვიჩნდებოდა, მაგრამ გაჩნდა საშველი, რადგან გამოგვიჩნდა მაშველი.

როგორც შევიტყვეთ რაიონის ახალ ხელმძღვანელობას დიდად დაეხმარა რესპუბლიკის პურპროდუქტების კორპორაცია, რომელსაც ჩვენი კუთხის შვილი ბატონი ანზორ ბურჯანაძე ხელმძღვანელობს. მადლობა უფალს, რომ კიდევ შემოგვრჩნენ კეთილი ადამიანები. თქვენც დიდი მადლობა ბატონო ანზორ, ზოგიერთივით რომ არ დაივიწყეთ ლეჩხუმელობა და ამ გაჭირვების ჟამს ხელი შეაშველეთ თქვენს მშობლიურ რაიონს. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ.

**ნ. კობერიძე.**

დიასახლისი ქ. ცაგერი.

# მიუხედავად დენთის სუნისა

## კულტურის სფეროს პრობლემებთან და ტკივილებთან ერთად ჩანაფიქრებიც აქვს

**რაიონის კულტურის სფეროში აშკარად სასიკეთო ძვრები შეინიშნება. მეტადრე ამ უკანასკნელ პერიოდში არა ერთი აკადემიურ დონემდე ასული ღონისძიება გაიმართა, რომელიც სიამოვნებით მიიღო საზოგადოებამ. ყოველივე ამის არდანახვა, რბილად რომ ვთქვათ, უმადურობა იქნებოდა ჩვენის მხრივ. არადა, ვართ უმადურები, აქ ელემენტარული ადამიანური პირობები არ არსებობს მუშაობის, თითქმის მშიერი, უხელფასო ხალხი ქმნის სულიერ ღირებულებას და, რაც ყველაზე გულსატკენია, ამ შექმნილის მხოლოდ არ დანახვა, არ შეფასება, უპატივცემულობა დაგვჩემებია.**

**ეს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობისა და აქ დასაქმებულთა გვერდით ჩვენც გვტკავა და კეთილგანწყობისა და სფეროსადმი თანადგომის სურვილით ამ დიდ კოლექტივს შევხვდით; შევხვდით იმის იმედითაც, რომ მათი გამოსვლა გაზეთის ფურცლებზე უფრო ღრმად ჩაგვახედებს კულტურის ქსელის სპეციფიურ, შრომატევად საქმიანობაში, სწორი, ობიექტური დამოკიდებულებით განგვაწყობს.**

**შეხვედრაზე კულტურის განყოფილების გამგემ ომარ ჭაბუკიანმა, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორმა დარეჯან სალინაძემ, სარაიონო კულტურის სახლის რეჟისორმა ზაზა ყურაშვილმა, განყოფილების ინსპექტორმა მანანა კუხალაშვილმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ვლადიმერ ხეცურიანმა, სურათების გალერეის დირექტორმა ნათელა ლურჭუმალიძემ, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა მანანა კოპალიანმა ძირითადად ილაპარაკეს ერთი გლობალური კითხვის გარშემო — რას ფიქრობენ გაუფასურებული დღევანდელობის ფონზე, რა აწუხებთ, როგორ ხედავენ ხვალინდელ დღეს და საერთოდ, რაში ხედავენ გამოსავალს.**

ო. ჭაბუკიანი: დღეს რომ მუშაობა ძნელია, ეს საკამათო არ არის, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერ ვეგუები იმას, რომ გვერქვას კულტურის განყოფილება, წარმოვადგენდეთ კულტურის სფეროს და საქმე არ ვაკეთოთ.

როცა რაიმე ღონისძიებაზე ვმუშაობთ, მოვითხოვ ყველა მუშაკისაგან იფიქროს ჩემზე მეტად და არ გვეშინოდეს იმის, რომ ვინმემ უსაქმურობა დაგვწამოს. თუმცა ასეთი ბრალდებები გამორიცხული არ არის და ამას გვიყენებენ ხელმძღვანელი მუშაკები (ადგილობრივი საკრებულოები მყავს მხედველობაში), როცა ლაპარაკობენ ჩვენი კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობაზე. ელემენტარული პირობები არა გვაქვს მუშაობის. სკამი რომ გატყდეს, იმის შეკეთება არ შეგვიძლია, ცოცხის შეძენის საშუალებაც არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ივენი უნდა ვაკეთოთ ყოველ სიტუაციაში. და მადლობელი ვარ ჩვენი მუშაკების, რასაც შევეჭიდეთ, ხელი მოვკიდეთ, ყველა ღონისძიება გამოგვივიდა.

ლადოს საღამო ჩავატარეთ. იდეა თავისთავად კარგი იყო, მაგრამ ჩვენი სისხლხორცეული საქმის გარდა სანერვიულოც ბლომად გამოგვიჩნდა, ბევრი წვალების შემდეგ რაიონული საკრებულოს დახმარებით შევაკეთეთ სახლ-მუზეუმის ეზოს ღობე, რომელსაც პირუტყვი ანადგურებდა.

საღამო კარგი გამოვიდა.

არჩილ გელოვანის გახსენების მომზადება რომ გადავწყვიტეთ, მთავარი მანძილი იყო — სპათაგორში გადასვლის ორგანიზაცია. სპონსორის გარეშე ვერაფერს გავხდებოდით, მაგრამ ჩვენდა ბედად ჩვენი და სახელმწიფო სატყეო მეურნეობის მუშაკთა ინტერესები დაემთხვა და მარშლის გახსენების საღამომ, ვფიქრობ, გადაღმახეობა გააცოცხლა და აალაპარაკა.

თუ არ გავასწრებ მოვლენებს, საკონცერტო საღამოს ვგეგმავთ ალპანის კულტურის სახლში. ამ შემთხვევაში ლაჯანურჰესის ხელმძღვანელობა გვპირდება დახმარებას ტრანსპორტით.

ვერაფრით ვერ ვეგუები და ვერც შევეგუები სურათების გალერეა არ ამართლებდეს თავის დანიშნულებას. ჯერ გვინდოდა ჩვენი სამხატვრო სკოლის პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენა მოგვეწყო, მაგრამ შემდეგ ხუგზარ კოპალიანის პერსონალურ გამოფენაზე შევჩერდით. ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდა, მაგრამ რომ მოვიხდომეთ, ყველა საშუალება გამოინახა. მე მიმაჩნია ეს გამოფენა იყო აღმოჩენა ხუგზარ კოპალიანის, როგორც მხატვრის, როგორც მოქალაქის და ეს ცოტას არ ნიშნავს ლეჩხუმის სინამდვილეში. მაგრამ ხელი შეგვიშალა იმან, რომ არ იყო უზრუნველყოფილი გამოფენის დაცვა, ეს რომ გარანტირებული ყოფილიყო, ორი კვირა მაინც გაგრძელდებოდა.

სურათების გალერეა აუცილებლად დაცვაზე უნდა იქნეს აყვანილი, მაგრამ რაიონის ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა.

სახალხო თეატრი ამჟამად ორ პიესაზე მუშაობს ერთდროულად. ესენია გრიგოლ ძლიერის „ლაწუნდარა" და ლაშა თაბუკაშვილის „დაიაბებს ძილი გაზაფხულია". უახლოეს მომავალში შედგება ორივეს პრემიერა. თუმცა ამაზე სპეციალისტები უკეთ იტყვიან.

სარაიონო კულტურის სახლს გათვალისწინებული აქვს გასვლითი კონცერტები წიფერჩის, ლასურიაშისა და სხვა სოფლების მოსახლეობისათვის. ანალოგიურ მუშაობას ვითხოვთ ორბელის, ლასურიაშის და თითქმის ყველა სასოფლო კულტურის სახლისა თუ კლუბისაგან.

დ. სალინაძე: სარაიონო კულტურის სახლის მუშაობა სპეციფიურია და აქედან გამომდინარე პრობლემებიც სპეციფიური. გვყავს 21 თანამშრომელი აქედან შემოქმედებითად დაკავებულია 15. არ არ ვაჭარბებ, მართლაც არაადამიანური მძიმე შრომა გვაქვს. დაფასებაზე აღარ ვლაპარაკობ, ყოველდღე ხომ არ შეიძლება გიძახოს კაცმა: რას აკეთებთ, უსაქმურები ხართო.

ზ. ყურაშვილი: ამ წუთში ორ სპექტაკლზე ვმუშაობთ, როგორც ითქვა. ჩვენ არა გვყავს პროფესიონალები, არა გვაქვს რუსული ფული, არადა სპექტაკლებს სჭირდება მუსიკა, დეკორაცია, ათასი რამ... სპექტაკლზე მუშაობისას ერთი და ორი მონაწილე რომ დაგაკლდება, ყველაფერი ირღვევა. მშიერ, უხელფასო ადამიანს კი ვერ მოთხოვ — არ წახვიდე, რეპეტიციაზე იჯექიო.

ჩემი და ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილი — რა მაყურებელი გვიზის დარბაზში. რამდენი შემთხვევა მქონია კულისებში ხარ, არ გინდა გახვიდე, იმიტომ კი არა, რომ არ გინდა შესრულება, იყო შემთხვევაც კი გვესროლეს სცენაზე.

კი ბატონო, უნდა აიტანო, გამოეთიშო მაყურებლის რეაქციას, სტვენას, შეურაცხყოფას, შენი საქმე აკეთო, მაგრამ როგორი პროფესიონალიც არ უნდა იყო..

ო. ჭაბუკიანი: წარმოიდგინეთ მსახიობი, რომელიც დარბაზში ხელყუმბარის ტრიალს უყურებს...

პარტერში არ ვარგა არც ერთი სკამი, დამწვარი, დაჭრილი, დამტვრეულია. კი არ მინდა ვინმე გავაკრიტიკო, ალბათ დრო მოვიდა ასეთი, პოლიციაც კი უძლურია, მაგრამ ჩვენს მაყურებელს უნდა ვუთხრა ერთი: თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე ღონისძიების შემდეგ სკამიც აღარ გვექნება, თორემ ხვალ სურვილიც რომ გვექნეს, გვიანი იქნება. და კიდევ: დავინდოთ კულტურის სახლი, დავინდოთ მსახიობი, დავინდოთ ერთმანეთი.

**კითხვა: ხომ არ გიფიქრიათ მსახიობთა დაინტერესებაზე?**

დაგვრთეს ნება ბილეთები გაიყიდოს რუსულ კუპონზე და შემოსავლის 14 პროცენტის გარდა მსახიობებს მიეცეს.

**კითხვა: ძველი მსახიობები ხომ არ არიან დაკავებული სპექტაკლებში?**

მხოლოდ ერთი (გ. ბენდელიანი). შეიძლება ბევრს კიდეც მოუწვევდი, მაგრამ ძნელია დღევანდელ პირობებში ენთუზიაზმით მოსთხოვო ვინმეს, როცა ვერაფერს აძლევ, ვერანაირ პირობებს უქმნი.

დ. სალინაძე: ერთხელ, „დარისპანის გასაჭირის" პრემიერის შემდეგ საღამოს დაღლილი ვბრუნდებოდი შინ. ქალაქის ცენტრში ერთი, შედარებით მაღალი დონის პიროვნებად რომ წარმომედგინა, მეკითხება: რას აკეთებთ ამდენი ხალხი ამ კულტურის სახლში.

მე ბოდიში მოვუხადე, რომ საწოლთან აფიშა ვერ გავუკარით.

აი, ასეთი განწყობით ვმუშაობთ, მაგრამ რა ვქნათ. უნდა შევძლოთ, ბოლოს და ბოლოს მსახიობები ვართ.

**კითხვა: ხომ არ ფიქრობთ სპექტაკლების რაიონს გარეთ გატანას?**

დიდი სიამოვნებით, თუ მოვახერხებთ. რამდენი შესანიშნავი პიესა მოკვდა პრემიერისთანავე, იმის გამო, რომ უკვე მეორე სპექტაკლს მაყურებელი აღარ ჰყავს.

ვლ. ხეცურიანი: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მზადა აქვს სამეცნიერო სესია თემაზე: „ლეჩხუმის ბუნებრივი სიმდიდრეები". მარტო ხატარების თარიღია შესათანხმებელი.

**ალბათ ადგილობრივი ძალებით, არა?**

რა თქმა უნდა.

მ. კუხალაშვილი: არ გვესწრება საბიბლიოთეკო ქსელის უშუალო ხელმძღვანელი, მაგრამ ვიმიძლია კომპეტენტური ვიყო ამ საკითხში. მიხდა გავაქარწყლო აზრი, რომ არაა საჭირო ამდენი ბიბლიოთეკა, ვინ მიდის ბიბლიოთეკაში.

ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ მკითხველი და უბრუნდა ბიბლიოთეკას. მოსახლეობა დანატრებულია წამიერად მაინც გამოეთიშოს ყოველდღიურ დარდსა და გაჭირვებას. ზოგიერთი უპურობას გაუძლებს და უგაზეთობას უწიგნობას ვერა. მით უფრო დღეს, როცა თითოეულს არ მიუწვდება ხელი ჟურნალ-გაზეთის გამოწერაზე თუ წიგნის ყიდვაზე.

ი. ლურჭუმალიძე: სურათების გალერეა ამოძრავდა, ვფიქრობთ, პერსონალური გამოფენა, რომელიც ამ დღეებში მოეწყო, არ იქნება პირველი და უკანასკნელი. ჩაფიქრებული გვაქვს ხალხური შემოქმედების გამოფენის მოწყობა. დახმარება გვჭირდება და ამაზე არაერთხელ დავსვით ოფიციალურად საკითხი, როგორმე დავიბრუნოთ ჩვენი გამოფენა თერჯოლიდან, რომელიც წლებია იქ ინახება და შეიძლება აღარც ინახება, სადაც, სხვათაშორის გუდიაშვილის, ვარაზისა და სხვათა ორიგინალებიცაა წარმოდგენილი.

**იმ დღესაც რეპეტიცია მიმდინარეობდა სცენაზე, გოგონათა გუნდი მთელის მონდომებით ვარჯიშობდა..**

**რასაკვირველია, სფეროს საქმიანობაში რამდენიც გნებავთ ნაკლია, წინააღმდეგობა, ხარვეზია, რაც გამოწვეულია სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით, მაგრამ დღეს მთავარი მაინც კულტურის დარგის მუშაკია. მისი მაძიებელი, შემოქმედებითი საქმიანობაა სფეროს ავტორიტეტის განმაპირობებელი.**

## საქართველო ფენიქსივით აღსდგება

ყოველ ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ კონფერენციაზე თბილისში ერთმა ბრძენმა ბრძნულად თქვა: მე არ მგონია — ის ხე, რომელსაც საქართველო ჰქვია, ფესვებამდე დამპალი იყოს".

არავითარ შემთხვევაში, არა. მატულობს ბედნიერ ოჯახთა რიცხვი, მრავლდებიან ქართველები. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ სოფელ ჩხუტელში აწ გარდაცვლილ ალეკო (ალიოშა) კვირკაშვილის ოჯახში ერთი თვის განმავლობაში ორი ბავშვი დაიბადა და რა სიხარულია — ორივე ბიჭი.

11 ივნისს ინჟინერ გოგი კვირკაშვილს და ფილოლოგ ლალი ლეთოდიანს ქალიშვილის შემდეგ ბიჭი გაუჩნდათ, რომელსაც ბაბუას სახელი — ალეკო დაარქვეს. რა თქმა უნდა, ოჯახმა გაიხარა. ახლა მეორე სიხარულს მოელოდა ბედნიერი ოჯახი. ჰოდა, არც დაყოვნდა, უფროს ძმას (ისიც ინჟინერია) ამირანს და მის მეუღლეს ეკონომისტ ნინო კოპალიანს პირველი შვილი შეეძინათ და ისიც ბიჭი. ამასაც ღედისაგან ბაბუის სახელი ბახვა დაარქვეს.

ერთ თვეში ორი ბიჭი ერთ ოჯახში, ორი ვაჟიშვილის მოვლინება. ასე სხვა ოჯახებში, სხვა სოფლებშიც რომ მოხდეს, რა იქნება საქართველო? მისი ფესვების სიდამპლის თქმას ვერავინ გაბედავს.

**პიმენ ლეთოდიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსტა

## აქ ჭეშმარიტ მასპინძლობას გვიწევენ

ძნელია ლტოლვილთა ბედი, უმძიმესია მათი მდგომარეობა, მაგრამ ქვედა ცაგერის ბაგა—ბაღში განთავსებულ 9 ოჯახს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად მხარში ამოუდგა ბაგა—ბაღის მთელი კოლექტივი, უპირველესად დაგვეხმარენ როგორც სურსათით, ასევე დროებით სარგებლობაში მოგვცეს ბაღის ავეჯი: ლეიბები, საბნები, თეთრეული, აგრეთვე საბოსტნე ნაკვეთი. დიდი მონაწილეობა მიიღეს ლტოლვილი მიცვალებულის ქართული წესით დატირებასა და დაკრძალვაში. გვამარაგებენ საკვრული ლიტერატურით და რაც შესაძლებლობა აქვთ ჟურნალ—გაზეთებით.

ყოველდღე თბილი ღიმილით გვხვდებიან და გვაიმედებენ, რომ დავუბრუნდებით ჩვენს მშობლიურ სახლ—კარს. ჩვენც თუ ოდესმე გველირსა ქვეყნად მშვიდობის დღესასწაული და დავბრუნდით ჩვენს კერას, არ დავივიწყებთ კეთილ მასპინძლებს.

ერთმა რამემ კი მაინც გული გვატკინა, რომ გავიგეთ ჰუმანიტარული დახმარების იმ ტვირთის განაწილებაში, რომლებიც მასპინძლებზე იყო გათვალისწინებული, სხვა ბაღებს შორის ჩვენი მასპინძელი ბაგა—ბაღი არ გაიხსენეს.

დიდი მადლობა ქვედა ცაგერის ბაგა—ბაღის კოლექტივს ჩვენი თანადგომისათვის.

ქვედა ცაგერის ბაგა—ბაღში განთავსებული ლტოლვილები:

რეზო კოპალიანი,

ვაჟა გიგიბერია,

ლენა კოპალიანი.

## გაჭირვების ტალკვესი

რაოდენ კმაყოფილი და მადლიერი რჩება ადამიანი, როდესაც მის წუხილს ვინმე გულთან მიიტანს, გაითავისებს და ეცდება შეძლებისდაგვარად დახმარების ხელი გაუწოდოს.

ასეა უბედის შემთხვევაში ჩვენთან. თავის გულისხმიერებას და თანადგომას არ აკლებს სოფლის მშრომელებს კავშირგაბმულობის ლაილაშის განყოფილების უფროსი ლეილა ვარლამის ასული ჩაჩხიანი.

ლეილამ ამ განყოფილებაში მუშაობა 3 ათეული წლის წინათ დაიწყო. შეისისხლხორცა თავისი საქმეს, შეიყვარა იგი და თავისი ხალხის უანგარო სამსახური დაისახა მიზნად.

საპასუხისმგებლო საქმე აკისრია ლ. ჩაჩხიანს. ამ გაჭირვების ჟამს მოსახლეობის უმრავლესობა, პენსიონერები მას შეჰყურებენ, იგი ცდილობს არ დაუგვიანოს, დროზე მიაწოდოს პენსია.

თუ ტელეფონი იქნება საჭირო, იგი მზად არის არა სამუშაო დროსაც არ დაიზაროს და დახმარება გაუწიოს. ასეა წერილების თუ დეპეშების მიღება—გაგზავნის დროსაც. დეპეშების თუ სხვა გზავნილების დროზე ჩაბარება კლიენტისათვის რომ საპასუხისმგებლო საქმეა, კარგად იცის ლეილამ და ამიტომაა, რომ ყველა მუშაკისგანაც მოითხოვს მის დროულ შესრულებას.

შემთხვევითი არ არის, რომ ლაილაშის რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობა მისი მუშაობით კმაყოფილია.

ლეილს თანასოფლელები იცნობენ, როგორც კარგი ოჯახის დიასახლისს კარგი შვილის აღმზრდელს, ბებიას.

ვუსურვოთ ქალბატონ ლეილას კიდევ დიდხანს იმუშაოს თავისი ხალხის სამედლოდ.

ივოლდა მჭედლიშვილი,

პენსიონერი პედაგოგი.

## სასწავლებლად გიწვევთ

### საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1994—1995 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

**სამედიცინო ფაკულტეტი:**

სამკურნალო, პედიატრიული, სტომატოლოგიური;

**იურიდიული ფაკულტეტი:**

სამართლისმცოდნეობა;

**ბიზნესისა და საინჟინრო—ეკონომიკური ფაკულტეტი:**

კვების მრეწველობის ინჟინერ—ეკონომისტი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ინჟინერ—ეკონომისტი, მშენებლობის ინჟინერ—ეკონომისტი; წარმოების ორგანიზაციის ინჟინერ—ეკონომისტი, მომსახურების სფეროს ინჟინერ—ეკონომისტი, ტრანსპორტის ინჟინერ—ეკონომისტი, საშენ მასალათა მრეწველობის ინჟინერ—ეკონომისტი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი, საფინანსო საბანკო საქმიანობის მენეჯერი; საფონდო, სასაქონლო და შრომის ბირჟის მენეჯერი, საკურორტო—სამკურნალო და ტურიზმის მენეჯერი;

კონკურსზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო—სპეციალური განათლების მქონე პირები.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

სამედიცინო ფაკულტეტზე ბიოლოგია (ტესტური გამოცდა) ქიმია (ტესტური გამოცდა);

იურიდიულ ფაკულტეტზე: სამართლისმცოდნეობა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი);

ბიზნესისა და საინჟინრო—ეკონომიკურ ფაკულტეტზე: მათემატიკა (ტესტური გამოცდა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი ან დიპლომი (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086) 6 ფოტოსურათი (3 4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთები მიიღება 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე ყოველ დღე 11—დან 16 საათამდე გარდა კვირისა.

გამოცდები ჩატარდება 2 აგვისტოდან 17 აგვისტომდე.

აბიტურიენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტი აწყობს ღია კარის დღეს ა წლის 26 ივლისს 12 საათზე სააქტო დარბაზში.

უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. სწავლა ფასიანია. გამოცდის ორგანიზაციისათვის აბიტურიენტი იხდის 5 დოლარის შესატყვის თანხას.

**მისამართი:** თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზირი № 25. ტელეფონი 22—21 75; 98—94—45, 38—27—20

რექტორატი.

## გილოცავთ

მაია, ანზორ კვირკაშვილებს
ჟენია, ბიჭიკო ბახსოლიანებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზარდეთ სასახელო ვაჟკაცი.
ქალაქის ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

---

ბახვა ხაბულიანს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ლელა და ავთო.

---

ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
მერაბ, იზა, ტატო, ლელა, თეა დავითულიანები.

---

ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
მერაბ, იზა, ტატო, ლელა, თეა დავითულიანები.

---

ლილი მამიდა
შენს დიდ სიხარულს ვუერთდებით.
ტატო, ლელა, თეა დავითულიანები.

---

ლალი, ჯონი გურგუჩიანებს
გოგი, რეზო, ფოთოლა გურგუჩიანებს
გილოცავთ ვაჟიანობას.
სოსო ჭაბუკიანი, როლანდ გურჯალიანი ოჯახებით.

---

ლალი, ნინო, გოგი ამირან კვირკაშვილებს
იზო გოგოხიძეს, ლილი დავითულიანს
გილოცავთ ვაჟიანობას.
ცირა, გუჩუ გენდელიანები.

---

მაია გუგავას, დათო სალინაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს.
ირა, გიგლა ლეთოდიანები, მარინე მირზა ჩაკვეტაძეები.

---

მაია, ანზორ კვირკაშვილებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
ნანა გატიაშვილი, რუბენ ლიპარტელიანი, შერმადინ სალინაძე.

---

იზო გოგოხიძეს
გილოცავთ შვილიშვილის—პატარა გახვას შეძენას.
ჟუჟუნა ზკუგულიანი.

---

მაია გახსოლიანს, ანზორ კვირკაშვილს
ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს
ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
გილოცავთ ვაჟიანობას.
შოთა, გურამ ლეთოდიანები, მამუკა ჩაკვეტაძე.

---

ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს
იზო გოგოხიძეს
ლილი კვირკაშვილს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. შეგაბერდეს მრავალი და—ძმა.
აგრომრეწვბანკის თანამშრომლები.

---

ჟენია, ბიჭიკო გახსოლიანებს
მაია, ანზორ კვირკაშვილებს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის, ვაჟის შეძენას
ძაძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი, ლია მუშკუდიანი.

---

ნანა ხეცურიანს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ირინა, თამილა, ნუნუ.

---

დარეჯან ომანაძეს
გილოცავთ დის ბედნიერებას.
გიორგი, პაატა ომანაძეები.

---

ფოთოლა, ამირან ფუტკარაძეებს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
ირინა, თამილა, ნუნუ.

---

ნონა, სპარტაკ, ნინელი მიშა გვასალიებს
გილოცავთ ვაჟიანობას.
ზაალ ჩაკვეტაძე.

---

ნონა ჩაკვეტაძეს, სპარტაკ გვასალიას
გილოცავთ მიშიკოს შეძენას.
ვანიკო დანელია.

---

ნონა ჩაკვეტაძეს, სპარტაკ გვასალიას
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
კუკური ბერიძე ოჯახით.

---

ლალი, გოგი კვირკაშვილებს
ნინა ლეთოდიანს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას
ნელინა სალინაძე ოჯახით.

---

მირზა კუხალაშვილს
ჩვენო მირზა, გილოცავთ დაბადების დღეს, დაგბერებოდეს ნატვრის ახდენა.
მარინა, მაია, მადონა, მალხაზ კოპალიანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ

მარინა, იუზა დაშნიანებს
გილოცავთ ლელას ბედნიერებას.
ზურაბ, მამია დაშნიანები ოჯახებით.

---

ნინო, ამირან კვირკაშვილებს, იზო გოგოხიძეს
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.
ჟორა კოპალიანი, ლერი, სოზარ იენაძეები ოჯახებით.

---

ნათელა, ანზორ, იმედა გუგავებს
გილოცავთ ნაიას ბედნიერებას.
ჯიბილო ასათიანი ოჯახით.

---

მაია გუგავას, დათო სალინაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
იამზე ასათიანი.

---

თამილა ბენდელიანს
გილოცავთ დაბადების დღეს.
ირინა, ნუნუ.

---

ნანი მასწავლებელო
გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული დაგბედებოდეთ.
მაია გიორგელიძე.

---

ნონა, სპარტაკ გვასალიებს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაგეზარდოთ სასახელო ვაჟკაცი.
შოთა მურცხვალაძე ოჯახით.

---

მაია გუგავას, დათო სალინაძეს
გილოცავთ ბედნიერებას, გამრავლდით და გაიხარეთ.
შოთა მურცხვალაძე ოჯახით.

## ხსოვნა

გაიხარებდი, თან გადმოგვყვებოდი, სიყვარულით აგვავსებდი.

### დოდო სალინაძე—ლიპარტელიანი

ახლა შენს ოჯახში შენი მონატრება და ცრემლიანი ფუსფუსია. წელიწადი გასულა, რაც განგების ნებით მარადიულ სასუფეველში დაემკვიდრე. მას აქეთ ტკივილმა დაიბუდა შენს ლამაზ სახლ—კარსა და ქმარ—შვილში, ყველა ახლობლის სულში.

მართლაც გამორჩეული იყავ. უშურველად გასცემდი უშურველად იხარჯებოდი სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით აღსავსე.

ყველას შენკენ მოგვიხაროდა, დოდო. ეს იმიტომ, რომ შენ ასე გიყვარდით.

ახლა შენს ოჯახში ცრემლიანი ფუსფუსია, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, ყველა ახლობელი ეფერება შენს სპეტაკ სულს, შენს საფლავს, ყველაფერს აკეთებენ, რათა პატივი მიაგონ შენს კაი ქალობას, შენს ნათელ ხსოვნას. აი ამაში ეძებენ შვებას.

სხვა რაღა შეგვიძლია გარდა იმისა, რომ მოგიგონოთ, ცრემლი დაგაყაროთ, ყვავილები მოგიტანოთ ჩვენო ძვირფასო, კეთილო და დაუვიწყარო დოდო.

ახლობლები.

---

### თამრიკო მურთაზის ასული ხეცურიანი

უკვე სამი წელია, რაც მიწას მიგაბარეთ, ჩვენო საყვარელო თამრიკო, უშენოდ მესამედ მოვიდა ივლისი, შენი გარდაცვალების თვე.

ცრემლითა და ყვავილებით მოგიროთავთ შენ სამუდამო სამყოფელს, მაგრამ, ვაი, რომ ვერაფერი ავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენი წასვლის შემდეგ დაგვრჩა. სამი წელია შენს ნატვრაში გადის შენი გაწამებული დედის დღეები და სიცოცხლე, წახვედი და წაიღე შენი საყვარელი მშობლების, დედმამიშვილების და ყველა ახლობელის სიხარული.

სიცოცხლეზე მოწყურებულმა, დედასა და დას მონატრებულმა აგარის გზაზე დალიე სული. წახველ და დაგვიტოვე დაუვიწყარი ტკივილი, შეუშრობელი ცრემლი.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

თამილა ბენდელიანი.

---

ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვედა ცაგერის საკრებულოს მუშაკი
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა გუგული, მეუღლე მთვარისა მიქაძე, შვილები როსტომი, რუსუდან, თამარი, დები ელვარა, სვეტლანა, სიძეები ჯონი ყვირილიანი, ვახტანგ ფარაძე, დისშვილები ხინო, სასტრიკი, მარინა ყვირილიანები, ხინო გიორგი ფერაძეები, ძმიშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანი.
დაკრძალვა 14 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. ორბელში. გამოსვენება 17 საათზე.

---

ქვედა ცაგერის საკრებულოს თანამშრომლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა ამავე საკრებულოს საპასპორტო მაგიდის გამგე
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოდარ ცვარიანს
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

ქეთევან სილაგაძე, ეთერ სვანიძე, ქეთინო ჩახიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რეზო ბურჯალიანი.

---

ნოდარ ცვარიანი ოჯახით იუწყება
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

ვალო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
მურმან ტრიფონის ძე კვირკაშვილი
დაკრძალვა 17 ივლისს, კვირას, გოლინში.

---

ბრიშა გზოგავა, თორნიკე პიპინაძე, ზაალი კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან
ბრიშა გახსოლიანის
გარდაცვალებას.

---

ზურაბ თუთისანი, კარლო სტურუაძე, იაგო ყურაშვილი, ვანერა ჩარკვიანი თანაუგრძნობენ შამილ ლარცულიას დისშვილის
თემურ ურთმელიძის
გარდაცვალების გამო.

---

ლოლა, ზურაბ ჩიქოვანები ოჯახით იუწყებიან
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით იუწყება
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

გურამ და ანზორ ტვილდიანები თანაუგრძნობენ ლია მურუსიძეს
მურთაზის
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ გაგისონია ოჯახით თანაუგრძნობს პირისუფალს
ცაცა სილაგაძის
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ნანი, შვილები ნინო, მაია, ლადო, ძმები გიგლა, ალიოშა, ძმისშვილები სერიოჟა, ლენა, დათო, მანანა, ტია, დისშვილები ნატო, ირმა ირაკლი, თეიზა, ანიკო, სიდედრი კლარა, ცოლისდა ზინაიდა, სიძე ილუშა ირემაძე, ძმისშვილის შვილები, დისშვილიშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
გივი სამსონის ძე ლიპარტელიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

ნაზი, მურმან ომანაძეები ოჯახით იუწყებიან
ვახტანგ ახვლედიანის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ პირისუფალს.

---

მერაბი, კარლო, ბაჩუკი, არტურ ყვირილიანები ოჯახებით იუწყებიან
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

კარი ხეცურიანი, ბურაკ, ჯიძმერ გიორგობიანები თანაუგრძნობენ ლია მურუსიძეს მეუღლის
მურთაზის
გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები თანაუგრძნობენ რუსიკო ბურჯალიანს მამის
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

მუხრან, თემური მურცხვალაძეები, ნანი კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

ქეთევან ნემსწვერიძე ოჯახით თანაუგრძნობს ლია მურუსიძეს მეუღლის
მურთაზის
გარდაცვალების გამო.

---

თანაკლასელები და კლასის ხელმძღვანელი ციცო კოპალიანი თანაუგრძნობენ როსტომ ბურჯალიანს მამის
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

ბორის ჭაბუკიანი, ზაურ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან
შოთა გაგლუანის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ პირისუფალს.

---

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ელვარა, ჯონი ყვირილიანებს ძმისა და ცოლისძმის
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

მურმან ომანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლია გენიძეს დედის
ნადია გვიშიანის
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე დონია, შვილები [illegible] ოჯახებით, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვალიკო ნესტორის ძე გელოვანი.
დაკრძალვა ხუთშაბათს 14 ივლისს სოფელ ორბელში.

---

კაპიტონ ბენდელიანი ოჯახით იუწყება
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

ცაგერის სასამართლოსა და ძალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა გოლოვას დისშვილის
ჯოვანი გეგიაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

კარლო, მურთაზ, ასლან ბურჯალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ პირისუფალს
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

სახლის მეზობლები ედუარდ ფიჩხაძე, თამაზ ფრუიძე, გიჟიკო გასლელიანი, იუზა, ამირან, ვიქტორ კვირკაშვილები, როლანდ, ამბროსი მეშველიანები, იუზა, კალოდია, გუჯუ, შალვა კვირკაშვილები, მურად ჩალიანი, სასიკო ახვლედიანი, სოსო გუგავა, იური ჭალიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გივი სამსონის ძე ლიპარტელიანი.

---

ზაირა, როინ, ბრიშა სილაგაძეები, ზურია, ბიჭიკო კვირკაშვილები, ჯონი ხალიანი, გოგლი ჭაბუკიანი, მერაბ ცვარიანი, გორის მიქაძე, ვალერი ჯიაძე, კატო ფოჩხიძე, ზურაბ ხეცურიანი, იგრან მაჭრონელიძე, სულიკო კორძაია, გულვერ ჭილვარია, ზაზა გზოგავა, მურთაზ აბზიოლიანი, გულო ჩანქსელიანი, ნაირა მურცხვალაძე, მათიკო გუგავა, ნანი ხაგულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ პირისუფალს
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ახვლედიანი, ტრისტან ზურაბიანი, რომან ხმელიძე, დათო გიორგელიძე ოჯახებით იუწყებიან
რეზო პიპიკოს ძე ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

ნატო და დათო აბაშიძეები თანაუგრძნობენ თამრიკო ბურჯალიანს მამის
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალების გამო.

---

გივი, ნინა, ჟორა მინდაძეები, მამუკა ახვლედიანი, შამილ ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან
რეზო ბურჯალიანის
გარდაცვალებას.

---

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი
რედაქტორი ნ. ნემსაძე.
გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.
რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №66 ტელეფონი 28—81.
ცაგერის რაიონული სტამბა.